ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1831554

ნომერი: AR1299721

თარიღი : 04.04.2015

გაცემის თარიღი : 14.04.2015

გაცნობის თარიღი : 14.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N42 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბაკურ სულაკაური პ/ნ 01008002734
- თბილისი ს.ზალდასტანიშვილის შეს. N 2

ორგანიზაცია:

- შპს ბგპ კოდი: 406102587

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.02.2015წ. №1745401 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 04/04/2015წ. AR1299721 განაცხადით მომართა ბაკურ სულაკაურმა და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 20.02.2015წ. №1745401 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 20.02.2015წ. №1745401 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, კაიროს ქუჩა N42, შპს "ბგპ"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა არსებული შენობის რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 20 თებერვლიდან 2017 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა მესაკუთრე, შპს "ბგპ".

სამსახურის 27.03.2015წ. №1808881 ბრძანებით, გასწორდა ტექნიკური შეცდომა 20.02.2015წ. №1745401 ბრძანებაში, ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებული იქნა დამხმარე ფართობი 313.77 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 2667 კვ.მ., კომერციულ ფართობად – 779.56 კვ.მ., საზაფხულო ფართობად – 146.90 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად – 493.69 კვ.მ., საერთო ფართობად – 3975.75 კვ.მ. განმცხადებლის განმარტებით, არასწორად იქნა საერთო ფართობის ციფრობრივი მაჩვენებლები, რომელიც ნაცვლად 3975.75 კვ.მ.–სა შეადგენს 4155.67 კვ.მ.–ს, რის გამოც წინამდებარე განაცხადით ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 20.02.2015წ. №1745401 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 4155.67, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საერთო ფართობის შეცვლილი მაჩვენებლები შესაბამისობაში მოდის 20.02.2015წ. №1745401 ბრძანებაში დაფიქსირებული მაჩვენებლების ჯამურ ფართობთან. შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.02.2015წ. №1745401 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 4155.67, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.02.2015წ. №1745401 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.